როინ მეტრეველი

განათლება, მეცნიერება და კულტურა ომის წლებში

შესავალი

XX საუკუნე ურთულესი პერიოდია მსოფლიო ისტორიაში. ამ საუკუნემ ათასგვარი სირთულეებითა და კატაკლიზმებით აავსო ცხოვრება. საქართველოს დაკარგული ქონდა სახელმწიფოებრიობა, ქართულ ეკლესიას - ავტოკეფალია. იდევნებოდა ქართული ენა. XXს-ის პირველ ოცწლეულში საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაიბრუნა (თუმცა, სამ წელიწადში დაკარგა). ახალი ეტაპი საქართველოს ცხოვრებაში 1921 წლიდან დაიწყო. ეს არის ე.წ. სოციალიზმის პერიოდი. ამ ხანაში საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და მისი წინსვლა თუ შეფერხება საერთო ვითარებიდან გამომდინარეობდა. განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოსთვის მეორე მსოფლიო ომი. 700 ათასი ქართველი წავიდა ბრძოლის ველზე, საიდანაც ჯანსაღი ცოტა დაბრუნდა. ომის პერიოდს მოერგო საქართველოს ცხოვრებაც. განათლება და კულტურა ფაქტობრივად საომარ ყაიდაზე გადაერთო. ქართველი ხალხის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეინარჩუნეს ეროვნულობა და ქვეყანა დაიცვეს მტრისგან. ამ მძიმე 1941-45 წლებში ქართული კულტურა, ხელოვნება, განსაკუთრებით ლიტერატურა ვითარდებოდა და მნიშვნელოვან შედეგებს აღწევდა.

მეთოდი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საქართველოს მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების ობიექტური სურათი. საკითხები შესწავლილი და განხილულია ადრე მეთოდოლოგიაში არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით.

შედეგი

საკითხების შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილია ომის პერიოდის საქართველოს განათლების, კულტურისა და ხელოვნების რეალური ვითარება.

მსჯელობა

მეორე მსოფლიო ომმა მძიმე გავლენა იქონია საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე. 1941-45 წლები, მიუხედავად იმისა, რომ მტერს არ შემოუღწევია საქართველოში (გამონაკლისი იყო სოფ. ფსხუ), ქვეყანამ მძიმედ განიცადა. ომის დაწყების უმალ დაიწყო ცვლილებები განათლების სფეროში. გათვალისწინებული იქნა ის სიძნელეები, რაც ქვეყანაში ზოგადად გაჩნდა და საშუალო და უმაღლესმა სასწავლებლებმა შესაბამისი გადაწყეტილებები მიიღეს. კერძოდ, სასკოლო შენობები (საჭირო რაოდენობა)

გადაეცა სამხედრო სისტემას და აქ ძირითადად განთავსდა ჰოსპიტლები და ყაზარმები საჯარისო ნაწილებისათვის. შესაბამისად შემცირდა სასკოლო დაწესებულებების რაოდენობა. მოსწავლეთა კონტიგენტის შენარჩუნების მიზნით რესპუბლიკის სკოლების უმრავლესობა ორცვლიან (ზოგან სამცვლიან) სწავლებაზე გადავიდა. მამაკაც პედაგოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი მობილიზებული იქნა სამხედრო არმიაში. მასწავლებელთა დეფიციტის შესავსებად გამოყენებული იქნენ პენსიონერები. გაიზარდა პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა.

საქართველოს სკოლების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სირთულეებისა, მათ შეძლეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებული ბავშვების მიღება და სასწავლო პროცესში ჩაბმით უზრუნველყოფა. ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა ევაკუირებულთა მიღებაში. ცალკეული ოჯახების მიერ ხდებოდა ბავშვთა პატრონაჟზე აყვანა, ხდებოდა შვილად აყვანაც.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1941 წლის 17 სექტემბერს მიიღო დადგენილება სკოლებში (უფროს კლასებში) სამხედრო სწავლების შესახებ. ასევე იქნა შემოღებული საშუალო სკოლებში სხვადასხვა მიმართულების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სწავლება. ძირითადად არდადეგების პერიოდში მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად დახმარებას უწევდნენ სოფლებს მოსავლის აღება-დაბინავებისა თუ სხვა სამუშაოებში.

რესპულიკის მოსახლეობა ქმედით დახმარებას უწევდა შეიარაღებული ძალების მებრძოლებს. გროვდებოდა თბილი ტანსაცმელი და იგზავნებოდა ფრონტზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლის მოსწავლეები დახმარებას არ აკლებდნენ ფრონტელთა და ომის ინვალიდთა ოჯახებს. მებრძოლებისადმი ყურადღებისა და დახმარების მაგალითს იძლეოდა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მეთაურობით. სანიმუშოდ მოგვაქვს მისი წერილი იოსებ ბესარიონის ძე სტალინისადმი და ამ უკანასკნელის პასუხი (დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში", 1944, 16.V).

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

თქვენი მეთაურობით წითელი არმიის დასავლეთისაკენ ძლევამოსილი წინსვლის შედეგად, საქართველოს საკათოლიკოსოს მორწმუნეებმა სულიერი სიმშვიდითა და მყუდროებით გაატარეს წმიდა პასექის დღეები. მადლიერნი ამ დიდი სიხარულისათვის, მოწიწებით გთხოვთ თქვენ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, მიიღოთ სამშობლოს გმირ დამცველთა სადღესასწაულო საჩუქრად მცირე ძღვენი 150 ათასი მანეთის რაოდენობით.

ვევედრებით მკვდრეთით აღდგომილს, სიკვდილისა და ჯოჯოხეთის დამთრგუნველ ქრისტე ღმერთს მალე მიაგოს საბოლოო საზღაური იმათ, ვინც უდანაშაულო სისხლს ღვრიდა ჩვენს მიწა-წყალზე, ხოლო ჩვენი მხედრობის უმაღლეს მთავარსარდალს, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მივყავართ, მიანიჭოს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და მრავალჟამიერ სიცოცხლე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე

თბილისი

კალისტრატეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

გთხოვთ გადასცეთ საქართველოს საკათოლიკოსოს სამღვდელოებასა და მორწმუნეთ, რომლებმაც ას ორმოცდაათი ათასი მანეთი შეაგროვეს წითელი არმიის საჩუქრად, - ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

სასწავლო დაწესებულებების მდგომარეობა იცვლებოდა ომის ფრონტებზე არსებული ვითარების შესაბამისად. 1943 წლიდან საბჭოთა შეიარაღებული ძალების გარკვეული წარმატებების შედეგად მომხდარმა გარდატეხამ ქვეყნის შინაგან ცხოვრებაზეც მოახდინა გავლენა. საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის მოთხოვნათა შესრულებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით 1943-44 სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნა ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება. დაწესებული იქნა გამოცდები მეოთხე და მეშვიდე კლასებში. სწავლების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ჯილდოვდებოდნენ ოქროსა და ვერცხის მედლებით. ნიშანდობლივია, რომ 1943 წლიდან აღდგენილ იქნა პედაგოგიური კადრების გადამზადების სისტემა.

სახელმწიფოს ზრუნვა განათლებისადმი გამოიხატა იმაშიც, რომ 1945 წლიდან მნიშვნელოვნად გადიდდა ხარჯები სახალხო განათლებაზე, გაიზარდა განათლების სისტემაში მომუშავეთა ხელფასის ფონდი. შესაბამისად გაიზარდა პედაგოგთა რიცხვი და ამაღლდა მათი კვალიფიკაცია. სკოლები მარაგდებოდა სახელმძღვანელოებით, საჭირო სასწავლო (თვალსაჩინო) ნივთებით. გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობაც, 1944-45 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექვსასორმოცაათ ათასამდე მოსწავლე სწავლობდა.

ომის სირთულე გამოკვეთილად იგრძნობოდა უმაღლეს სკოლაშიც. ბევრი სტუდენტი გაწვეული იქნა ჯარში და შესაბამისად მნიშვნელოვნად შემცირდა სტუდენტთა კონტინგეტი. მოქმედ არმიაში გაიგზავნა ბევრი პროფესორ-მასწავლებელი (ზოგი მათგანი ოფიცრის წოდებას ატარებდა).

უნდა აღინიშნოს, რომ ომის დროს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სიძნელეების მიუხედავად, ინტენსიურად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, მზადდებოდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები თავიანთ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ იმ საზოგადოებრივ კამპანიებში, რომლებიც ფრონტს ემსახურებოდა. შრომობდნენ სამრეწველო საწარმოებში, საკოლმეურნეო სამუშაოებზე, მაღაროებში, სამხედრო მშენებლობებზე. თანდათან გაუმჯობესდა სწავლების პროცესი (განსაკუთრებით 1943-44 სასწავლო წლიდან) და სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები. სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემების კვლევაში. ზოგიერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა შეამჭიდროვა სასწავლო პროგრამები და შესაბამისად შეამცირა სპეციალისტთა მომზადების ვადები. ეს ქვეყნისათვის სასარგებლო

იყო – ხდებოდა კვალიფიციურ კადრებზე (ექიმები, ფარმაცევტები) მოთხოვნილების დაკმაყოფილება. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აგროვებდნენ სახსრებს და უგზავნიდნენ ცალკეულ საჯარისო დანაყოფების მებრძოლებს.

მიუხედავად უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის შემცირებისა, სტუდენტთა რაოდენობა არ დაკლებულა, პირიქით გაიზარა. 1945-46 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ოცდათხუთმეტი ათასამდე სტუდენტი სწავლობდა.

მნიშვნელოვანია რომ სამამულო ომის წლებში უმაღლესმა სასწავლებლებმა სხვადასხვა სპეციალობის თხუთმეტი ათასამდე პირი გამოუშვეს.

1941-45 წლები მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული მეცნიერებისათვის. უმძიმესმა ვითარებამ ხელი ვერ შეუშალა მეცნიერების წინსვლას. არსებითი მოვლენა იყო 1941 წლის თებერვალში საქართველოს მეციერებათა აკადემიის დაფუძნება. ამას თავისი წანამძღვრები ჰქონდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ და მხურვალე მეცნიერულმა საქმიანობამ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალების შექმნამ, რეალურად განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (N 183) 1941 წლის 10 თებერვალს გამოცხადდა, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით ფუძნდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (იხ. გ. გვესიტაძე, რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერება მეცნიერებათა აკადემიის 80 წლისთავზე, თბ., 2021). განისაზღვრა აკადემიის სისტემაში შემავალი დაწესებულებები, დამტკიცდა წესდება და სტრუქტურა. დადგენილებას ხელი მოაწერეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბაქრაძემ და საქმეთა მმართველმა ი. რუხაძემ. 1941 წლის 22 თებერვალს დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემადგენლობა: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კირიაკ ზავრიევი, ფილიპე ზაიცევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კორნელი კეკელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, ტარასი კვარაცხელია, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ჯანელიძე. 1941 წლის 26 თებერვალს აკადემიის საერთო კრებამ აირჩია პრეზიდიუმი: ნ. მუსხელიშვილი (პრეზიდენტი), გ. ახვლედიანი, ივ. ბერიტაშვილი, კ. ზავრიევი, ნ. კეცხოველი, ს. ჯანაშია (ვიცე-პრეზიდენტი), ა. ჯანელიძე.[1]

ომის მიმდინარეობამ მოითხოვა ახლად დარსებული მეცნიერებათა აკადემიის სისტემის მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა. მთელი სამეცნიერო საქმიანობა მიმართული იქნა ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად, აკადემია პრაქტიკულად ჩადგა ქვეყნის სამსახურში – მნიშვნელოვნად ეხმარებოდა ფრონტსა და ზურგს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გამოჩენილი მეცნიერები აქვეყნებენ საგანგებო ნაშრომებს ცალკეული წიგნებისა თუ სტატიების სახით. ამ გა-

1 1944 წ. 6 იანვარს მეორე ვიცე-პრეზიდენტად ნ. კეცხოველი აირჩიეს, 1945 წ. 5 ნოემბერს აკადემიკოს-მდივნად - გ. ახვლედიანი.

მოცემების მიზანი იყო საზოგადოება, მთელი ხალხი იდეოლოგიურად და პრაქტიკულად განეწყოთ მომხდურ დამპყრობთა წინააღმდეგ. გამოქვეყნდა ნ. მუსხელიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. ახვლედიანისა და ლ. გოკიელის სტატია „ფაშიზმი მეცნიერების მტერია" (გაზ. „კომუნისტი"- 1941 წ., 4.IX, N 209), ივ. ბერიტაშვილის წერილი „მთელი მეცნიერული პრაქტიკული მუშაობა ფრონტის ინტერესებს დავუქვემდებაროთ" („კომუნისტი", 1942 წ., 1.I). მნიშვნელოვანი პატრიოტული წერილები დაბეჭდეს: ა. თვალჭრელიძემ, გ. ხაჭაპურიძემ, გ. ახვლედიანმა, ვ. კუპრაძემ, დ. უზნაძემ, ნ. კეცხოველმა და სხვ.

1942 წლის 25 თებერვალს ჩატარდა მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელსაც პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა ერთი წლის მუშაობის შედეგები მოახსენა, ნათელჰყო ქვეყნის თავდაცვის ინტერესების საფუძველზე აკადემიის სისტემის სამეცნიერო საქმიანობის გარდაქმნის მნიშვნელობა. ხაზი გაუსვა მეცნიერთა ღვაწლს, დასახურებას სოფლის მეურნეობის (მეცხოველეობა, ტექნიკური კულტურები, მრავალწლიანი ნარგავების დაცვა-განვითარება, პროდუქტიულობის ზრდა) განვითარება-წინსვლის საქმეში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა ფართო მონაწილეობა მიეღო ფრონტისათვის სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების საქმეში. ქართველი მეცნიერები შრომობდნენ თავდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, ნედლეულის რესურსების გამოყენებისა და დეფიციტური მასალების ადგილობრივი ნედლეულით შეცვლაზე. დიდ მუშაობას ეწეოდა საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით. ომის წლებში ექსპლუატაციაში გადაეცა სასარგებლო წიაღისეულის 29 საბადო, რომელთა ბაზაზეც (ვერცხლისწყალი, ვოლფრამი, მოლიბდენი, დარიშხანი) განვითარდა მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის დარგები. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი, თავისი ახალი გამოკვლევების (აღმოჩენების) საფუძველზე, რეალურ დახმარებას უწევდა ნევროლოგიური ჰოსპიტლების პერსონალის (აღსანიშნავია, რომ ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა დიდი წვლილი შეიტანა დაზიანებული ნერვული სისტემის დიაგნოსტიკისა და განკურნების საქმეში).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა თავდაცვითი მუშაობის ხელისშემწყობი სახელმწიფო კომისია, რომელსაც სათავეში აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი ჩაუდგა. აქ ხდებოდა რესპუბლიკის ყველა სამეცნიერო რგოლის საქმიანობის კორდინირება. კომისია ადგენდა უაღრესად საჭირო აუცილებელი სამუშაოების გეგმებს, აწესებდა მათი შესრულების ვადებს.

ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დავალებებს. მათ მიერ შესრულებული სამხედრო დავალებები მრავალმხრივი იყო. თავდადებული საქმიანობით ქართველ მეცნიერებს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ჯარის წინსვლა-გამარჯვებებში.

მეცნიერები დიდ დახმარებას უწევდნენ სოფლის მეურნეობასაც, ხდებოდა სამხედრო პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისება. მუშავდებოდა მოსავლიანობის ზრდის პრობლემა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის საკითხი, მრავალწლიანი ნარგავების დაცვისა და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები.

ქვეყნის სამეცნიერო ლაბორატორიებში მუშავდებოდა ნათებადი ასაფეთქებელი ნივთიერებები და სასიგნალო რაკეტები. 1942 წელს ფრონტს მიეწოდა დიდი რაოდენობით სასიგნალო რაკეტები და ასაფეთქებელი ნივთიერებები.

1941 წლის აგვისტოში მეცნიერთა საქმიანობას კორდინაციისა და კვლევითი დაწესებულებების საქმიანობის რაციონალურად წარმართვის მიზნით შეიქმნა საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ომის წლებში საქართველოში მეცნიერება და ტექნიკა გარკვეულ აღმასვლას განიცდიდა. ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიისათვის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ამოცანა" (1941 წ.), ივ. ბერიტაშვილის ნაშრომისათვის „კუნთოვანი და ნერვული სისტემების ფიზიოლოგია" (1941 წ.), რ. აგლაძეს - „ელექტროლიზური მაგნიუმის მილების მეთოდის ფეროშენადნობთა ქარხანაში დანერგვისათვის" (1943 წ.) სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ.

1944 წელს მეცნიერებათა აკადემიაში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად არჩეულ იქნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ბერძენიშვილი, ვარლამ თოფურია, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, გალაქტიონ ტაბიძე და სხვ. - სულ 14 აკადემიკოსი; წევრ-კორესპონდენტებად: გიორგი წერეთელი, გიორგი ჩიტაია, ბორის კუფტინი, კარპეზ დონდუა, ილია ვეკუა, პეტრე ქომეთიანი და სხვ. - სულ 13 წევრ-კორესპონდენტი. საპატიო აკადემიკოსებად აირჩიეს: ვლადიმერ კომაროვი (საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი), ვლადიმერ ვორონინი და ალექსანდრე ბოგომოლეცი (უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი).

ომის პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აქტიურ საქმიანობაზე მეტყველებს, რომ 1942 წელს შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერების განყოფილება. 1943 წელს დაფუძნდა ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, ფსიქოლოგიის სექტორი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; 1944 წელს დაარსდა ეკონომიკის ინსტიტუტი, 1945 წელს – გეოგრაფიის ინსტიტუტი და ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი. 1944 წელს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობას შეემატა სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1945 წლის 11 ივნისს (ომის დამთავრების შემდეგ) ნიკო მუსხელიშვილს „მექანიკის დარგში, განსაკუთრებით დრეკადობის თეორიაში დიდი მეცნიერული დამსახურებისათვის და აგრეთვე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად" მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მანამდე, 1941 წელს, კაპიტალური მონოგრაფიისათვის: «Некоторые новые задачи математической теории упругости» მიენიჭა პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქიმიურ-ფარმაცევტული დაწესებულებების აქტიური საქმიანობა. ადგილობრივი სამკურნალწამლო მცენარეებისაგან მზადდებოდა სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატები (სუფლიდინი, კოფეინი, სტრეპტოციდი, ტანინი და სხვ.). დაინერგა ახალი სამკურნალო პრეპარატები.

ომის წლებში მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდნენ ჰუმანიტარული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. საინტერესოა, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ლოგოპედთა ჯგუფი, რომელიც საგანგებოდ მუშაობდა ომის დროს კონტუზირებულთა მეტყველებისა და სმენის ფუნქციის აღდგენაზე (ხელმძღვანელი გ. ახვლედიანი). შეიქმნა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის დამხმარე სახელმძღვანელო, ე.წ. ევაკოჰოსპიტლებს დახმარებას უწევდნენ ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიისა და მორფოლოგიის ინსტიტუტები.

მოსახლეობის პატრიოტული აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ისტორიკოსები. გამოქვეყნდა ბევრი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ომის დროს, 1943 წელს გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის უნიკალური სახელმძღვანელო, რომლის ავტორებს - ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს სტალინური პრემია მიენიჭათ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერ-მუშაკთა ერთი ნაწილი (მათ შორის, მეცნიერი პედაგოგები) გაწვეული იყვნენ მოქმედი არმიის რიგებში. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ღირსეულად ასრულებდნენ თავის მძიმე მოვალეობას; თავგამოდებით ებრძოდნენ მტერს, უნდა დავასახელოთ აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, რომელიც 1941-43 წლებში საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა მესხია, რომელიც 1941-42 წლებში ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე იბრძოდა (ვიდრე არ დაიჭრა), პროფესორი დავით გვრიტიშვილი – 1942-43 წლებში იბრძოდა სტალინგრადთან. ნიშანდობლივია, რომ დ. გვრიტიშვილმა სტალინგრადის ბრძოლის მთელი ეპოპეა ასახა თავის წიგნში „ქართველი სტალინოგრადელები"; დაიბეჭდა 1944 წელს „წითელარმიელის ბიბლიოთეკის" ხაზით, რედაქტორი იყო აკადემიკოსი ს. ჯანაშია. სამამულო ომში მებრძოლთა შორის მეცნიერები ერთეულებს არ შეადგენდნენ. ისინი საკმაოდ მრავლად იყვნენ და ღირსებით ასრულებდნენ წმინდათა-წმინდა ვალს – იცავდნენ სამშობლოს. მეორე მსოფლიო ომში უშუალოდ მონაწილეობდნენ მეცნიერები, რომლებიც შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები გახდნენ: ანდრია აფაქიძე, რაფიელ დვალი, ვახტანგ მახალდიანი, შიო ნაფეტვარიძე, აკაკი სურგულაძე,ბორის ყურაშვილი, დავით ჩხიკვიშვილი, გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე და სხვ.

ომის დასრულების შემდეგ უფრო აქტიური გახდა სამეცნიერო დაწესებულებების კვლევითი საქმიანობა. გაიზარდა ინსტიტუტების ქსელი, შესაბამისად მეცნიერ-თანამშრომელთა რაოდენობაც. სამეცნიერო საქმიანობის ცენტრს წარმოადგენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პრობლემატიკა, რომელზეც ქართველი

მეცნიერები მუშაობდნენ. ძლიერად იყო წარმოდგენილი მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლები. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართველოლოგიურ და აღმოსავლეთმცოდნეობით მეცნიერებას. წარმატებული იყო გეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ხელოვნებათმცოდნეობითი დარგები. ცალკეული სამეცნიერო მიმართულებების სათავეში იდგნენ აკადემიკოსები: ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, დ. უზნაძე, ა. ჯანელიძე, გ, ჩუბინაშვილი, ა. ჩიქობავა და სხვ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

ომის მრისხანე წლები მნიშვნელოვანი გამოცდა იყო ქართველი მწერლებისთვის. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ღირსეულად შეასრულეს ლიტერატურის წინაშე დასახული მძიმე ამოცანა – ემსახურათ ხალხისათვის, გამოხმაურებოდნენ შექმნილ მძიმე ვითარებას. წინა პლანზე წამოიწია ომის თემამ და მასთან დამოკიდებულება მკვეთრად გამოვლინდა ხატოვანი აზროვნების ფორმით. ომისდროინდელი მხატვრული შემოქმედება გმირული ტრადიციების პრიმატით გამოირჩევა.

ქართველი მწერლები ომის დაწყების უმალ გამოეხმაურნენ შექმნილ ვითარებას. მძლავრად გაისმა გალაქტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძისა და ირაკლი აბაშიძის ხმა, მგზნებარე მოწოდება – საქართველოს ფიზიკურად შემძლე ყველა მამაკაცს ღირსეულად უნდა მოეხადათ ვალი ქვეყნის წინაშე. გალაქტიონ ტაბიძის შემართებული შეძახილი „ყველა საომრად გავიდეთ!" შეახსენებდა ადამიანებს სამშობლოს წინაშე ვალდებულების გადახდის აუცილებლობაზე. ასევეა გიორგი ლეონიძის ლექსი „ჰეი, არწივნო", რომელიც საომარი ბრძოლების მიმდინარეობისას პოეტური სიტყვის დანიშნულებაზეც მიანიშნებს. სამშობლოს სიყვარულსა და მისი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებენ იოსებ გრიშაშვილის („თბილისის პოეტი"), ალექსანდრე აბაშელისა („ჩემს კალამს") და სხვათა ლექსები.

სამშობლოსადმი თავდადების თემა მეტად მნიშვნელოვნად წარმოჩნდა ირაკლი აბაშიძის ლექსში „კაპიტანი ბუხაიძე" (1942 წ.). თავისთავად ეს ლექსი თავისი მაღალი ლიტერატურული დონით გამორჩეულია ქართულ ლირიკაში. პოეტმა გადმოსცა პიროვნების გმირული სახე, მისი ვაჟკაცობა: „მე საფლავში არა ვწევარ, აქ დარაჯად დამაყენეს"-ო. გმირი კავკასიის მთებთან იცავს საქართველოს საზღვრებს და საჯაროდ აცხადებს: „მოვკვდეთ, მაგრამ მკერდით შევკრათ დერბენდი და დარიალი"-ო. გმირობის თემა წარმოჩენილია ირაკლი აბაშიძის ლექსში „სამშობლო იყოს ჩვენი დიდება" (1943 წ.). გალაქტიონ ტაბიძემ თავის ლექსში „უცნობ მეომართა სამარე უღელტეხილზე" მხატვრულად აჩვენა ქართველი გმირების ვაჟკაცური სახე: „ჩვენ აქ დავეცით გულში იმ მზითა, რომ მომხდურისთვის არ დაგვითმია მშობლიურ მიწის არც ერთი ციდა".

ქართულ ლიტერატურაში საინტერესოდ წარმოჩნდა სამშობლოსათვის შეწირულთა უკვდავობის თემა (იოსებ გრიშაშვილის „ჩვენს დებს და დედებს", „ქართველი დედა", სიმონ ჩიქოვანის „სიზმარი").

აღსანიშნავია ლადო ასათიანის პატრიოტული, ქვეყნის ღრმა სიყვარულით გამთბარი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი. ოცდახუთი წლის ჭაბუკმა ხმამაღლა მიმართა ქართველებს:

„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე,
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს".

ლადო ასათიანის პოემა „ბასიანის ბრძოლა" ძალზედ საინტერესოდ მოგვითხრობს ქართველი ხალხის შემართების შესახებ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამგვარი მაგალითები აღაფრთოვანებდა ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მებრძოლებს.

ნიშანდობლივია, რომ ომის წლებში ლიტერატურა განსაკუთრებულად დაუახლოვდა ადამიანთა რეალურ ყოფას. ბევრი პოეტი იარაღით ხელში მებრძოლი არმიის რიგებში იდგა და ღირსებით ასრულებდა თავის მოქალაქეობრივ ვალს. რევაზ მარგიანის ომისდროინდელი ლექსები გადმოსცემს მძიმე ფრონტულ ცხოვრებას და ჯარისკაცის პოეტური დღიურების შთაბეჭდილებას სტოვებს. ბრძოლის ველზე ვაჟკაცურად დაეცნენ მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე. მირზა გელოვანის ლექსები: „ფრონტი", „სანგარში", „ბრძოლის წინ", „ბრძოლის შემდეგ" პირდაპირ მიგვანიშნებენ ომის საშინელებებზე. ზოგი მწერალი (ელიზბარ ზედგინიძე, დემნა შენგელაია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ანდრო ლომიძე და სხვ.) სამხედრო გაზეთების კორესპონდენტად მუშაობდა და პრესაში გადმოსცემდა ფრონტულ შთაბეჭდილებებს.

როცა მტერი საქართველოს საზღვრებს მიადგა (ერთი სოფელი – ფსხუ დაიკავეს კიდეც) კავკასიონის მხრიდან, ქართველი მწერლები პირად თანაგრძნობას უცხადებდნენ მებრძოლებს. მეტად რთულ პირობებში მიემგზავრებოდნენ და პირადად ხვდებოდნენ ქართველ მებრძოლებს, ამხნევებდნენ მათ. ერთ-ერთი ასეთი „ექსპედიციის" შემადგენლობაში იყვნენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი: უჩა ჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე, ალიო მირცხულავა, სიმონ ჩიქოვანი და სხვ. როგორც ცნობილია, ამ ღონისძიების შემდეგ, კაპიტან ბუხაიძის საფლავის ნახვისას დაწერილი ირაკლი აბაშიძის ზემოხსენებული ცნობილი ლექსი („კაპიტანი ბუხაიძე").

ქართული ლიტერატურისთვის საკმაოდ ცნობილმა და პოპულარულმა ჟანრმა ბალადამ ახალი ჟღერადობა შეიძინა ომის დროს. მებრძოლების თავდადებისა და გმირობის ჩვენების ნიმუშს წარმოადგენს კარლო კალაძის „ქართული ბალადა" (1942 წ.), „ბუქურაული". ფართო გზა მიეცა პოეტურ ეპოსსაც. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ გრიგოლ აბაშიძის „უძვლეველი კავკასიონი" (1943 წ.), სადაც ლირიკულ მოტივებთან შერწყმულია ფილოსოფიური ნააზრევი და ისტორიული წიაღსვლები. საინტერესოა ალექსანდრე გომიაშვილის ლირიკული პოემა „დარიალი", რომელშიც ასახულია მტრისგან კავკასიის ვაჟკაცური დაცვის ფაქტები.

პროზაულ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია შალვა დადიანის მოთხრობა „თამბაქო", სადაც გადმოცემულია მეომართა საბრძოლო საქმეები, ზურგის ცხოვრების დეტალები, ფრონტისა და ზურგის ერთობლიობა, მტკიცე ურთიერთკავშირი. შალვა დადიანის მეორე მოთხრობაში „ამბები ფრონტიდან" გადმოცემულია ბრძოლისა და შრომის შთამბეჭდავი სურათები. ლეო ქიაჩელის მოთხრობა „მამა და შვილი" მოგვითხრობს მოცემულ პერიოდში ორი თაობის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობას „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური", რომელშიც დამაჯერებლადაა გადმოცემული მოხუცი კოლმეურნის გმირობა. მეტად საინტერესო იყო მისი მოთხრობა „უსახელო მაღლობზე". ომის თემატიკის ასახვაში გარკვეული როლი ითამაშა რაჟდენ გვეტაძის კრებულმა „მართალი ნოველები". სერგო კლდიაშვილმა ომის პერიოდში გამოაქვეყნა მოთხრობა „ერთი ღამის ამბავი". ამავე დროს გამოქვეყნდა მიხეილ მრევლიშვილის „ოქროს ზარნიშიანი ხანჯალი". ბევრმა მწერალმა (კ. გამსახურდია, ა. ქუთათელი, ა. გაწერელია, გ. შატბერაშვილი და სხვ.) მიმართა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს. მეტად შთამბეჭდავი იყო კონსტანტინე გამსახურდიას ოთხტომიანი რომანი „დავით აღმაშენებელი", რომლის პირველი ტომი ომის დღეებში გამოვიდა. ამავე დროს დაიბეჭდა ალექსანდრე ქუთათელის ოთხტომიანი რომანის „პირისპირ", მესამე წიგნი; გამოიცა აკაკი ბელიაშვილის „ბესიკი". ქართულმა ისტორიულმა პროზამ დიდი გავლენა იქონია საერთოდ საზოგადოებაზე და კერძოდ ქართველ მეომრებზე.

საინტერესო იყო ქართველი მწერლების დრამატურგიული მოღვაწეობა. იწერებოდა პიესები, რომლებიც უშუალოდ ომის პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი (უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი სუსტი იყო). გიორგი მდივანმა წარმოადგინა პიესები: „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ" და „მოსკოვის ცის ქვეშ". კავკასიის დამცველებს გამოეხმაურა სერგო კლდიაშვილი თავისი დრამით „ირმის ხევი" (1944 წ.). ომის პრობლემებს გამოვლილი, შინ დაბრუნებული ფრონტელის სახე დაგვიხატა გიორგი შატბერაშვილმა თავის პიესაში „ფიქრის გორა". ომის პერიოდში ქართულ სცენაზე დაიდგა სანდრო შანშიაშვილის მიერ ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი პიესები: „კრწანისის გმირები" და „იმერეთის ღამეები".

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართულმა ლიტერატურამ (პროზა, პოეზია, დრამატურგია, ბელეტრისტიკა), ქართველმა მწერლებმა ღირსებით იმოღვაწევეს სამამულო ომის მძიმე წლებში, შესაძლებლობის ფარგლებში წარმატებით შეასრულეს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები; აჩვენეს ქვეყნის სიყვარულისა და მისთვის თავდადების მაგალითები.

ომის მსვლელობამ თავისი გავლენა იქონია ქართულ ხელოვნებაზეც. ყველა დარგის ხელოვანთა მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გადავიდა. თეატრალური დასების რიცხვი შემცირდა, რადგან ბევრი ახალგაზრდა მსახიობი და თეატრალური მუშაკი ფრონტზე წავიდა. დარჩენილი თეატრები ყოველგვარად ცდილობდნენ მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ პერიოდის თეატრალურმა დადგმებმა ნათლად აჩვენა ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი, მისი გმირული შემართება როგორც

ფრონტზე, ისე ზურგში. ქართულ თეატრში უმთავრესი ადგილი შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს ეკავა. ამ თეატრებში შეიქმნა ქართველ გმირთა ღირსეული სახეები, სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ადამიანთა მთელი გალერეია. ქვეყანაში სხვა თეატრებიც წარმატებით იღწვოდნენ. ესენი იყო: ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, ს. ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრი. ს. შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი, კ. ხეთაგუროვის სახელობის ოსური თეატრი, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, გორისა და თელავის თეატრები.

საქართველოს თეატრებმა წინა პლანზე წამოსწია ანტიფაშისტური, ისტორიული -საგმირო თემატიკა. დრამატული თეატრების რეპერტუარში დამკვიდრდა ისეთი პიესები, როგორიცაა: გიორგი შატბერაშვილის „ფიქრის გორა", გიორგი მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ" და „მოსკოვის ცის ქვეშ", ს. კლდიაშვილის „ირმის ნახტომი", ვ. დარასელის „კიკვიძე", ლევან გოთუას „ერეკლე მეორე", სანდრო შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე". იდგმებოდა რუსი ავტორების პიესებიც (კ. სიმონოვის „მელოდე", ვ. სალავიოვის „დიდი ხელმწიფე", ა. რჟევსკისა და ს. კაცის „ოლეკო დუნდიჩი").

ომის წლებში ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრმა დადგა ოპერები: ი. გოკიელის „პატარა კახი", ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი", ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული".

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრმა განახორციელა ი. სელვინსკის პიესის „ბრუსილოვის" დადგმა. ა.ა. ბრუსილოვი დაიბადა და გაიზარდა საქართველოში. ამდენად მისი როგორც პატრიოტი გენერლის გმირობა საინტერესო იყო ქართველი მაყურებლისათვის. პატრიოტულ სპექტაკლთა რიცხვშია ამავე თეატრში დადგმული ი. მოსაშვილის პიესა „სადგურის უფროსი". ამ პერიოდში თბილისში იმყოფებოდნენ ევაკუირებული ხელოვნების მოღვაწეები: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ო. კნიპერ-ჩეხოვა და სხვ., რომელთაც გარკვეული წვილილი შეიტანეს ჩვენი თეატრების საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი იყო თეატრების მიერ გაწეული სამხედრო-საშეფო საქმიანობა. ჩამოყალიბებულ იქნა მხატვრული ბრიგადები, რომლებიც ემსახურებოდნენ ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებს. ტარდებოდა ფასიანი საესტრადო საღამოები, რომლის შემოსავალი ირიცხებოდა თავდაცვის ფონდში.

ნიშანდობლივია, რომ ომის დასასრულისთვის გაიზარდა თეატრალური კოლექტივების რიცხვი. თეატრები აიგო ქუთაისში, სოხუმში, ზესტაფონსა და ზუგდიდში. 1945 წელს საქართველოში 41 თეატრი მოითვლებოდა.

1941 წლიდან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭაბუკიანი იყო. უმნიშვნელოვანესი იყო ამ დიდი ხელოვანის მიერ ანდრია ბალანჩივაძის ბალეტის „მთების გულის"-ს დადგმა. ეს ბალეტი ვ. ჭაბუკიანმა ააგო ეროვნულ საწყისებზე, ხალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობით (მხატვარი ს. ვირსალაძე). „მთების გულმა" დიდი წარმატება მოიპოვა, აღაფრთოვანა მაყურებელი. სპექტაკლი ფორმისა და ჰარმონიის უბადლო ნიმუშად იქცა

(ო. ეგაძე, თეატრში და თეატრის მიღმა. თბ., 1969 წ., გვ. 7). ომის დროიდან მოკიდებული „მთების გული" საკმაოდ დიდხანს იდგმებოდა.

1941-45 წლებში ფართო ხასიათის შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ ქართველი კომპოზიტორები. შეიქმნა ნაწარმოებები ომის თემაზე, ხაზი გაესვა ქვეყნის დაცვის აუცილებლობასა და ცალკეულ მებრძოლთა მიერ გმირული თავდადების ფაქტებს. მუსიკალური მასალა სხვადასხვა ხასიათისა იყო (საგუნდო სიმღერა, რომანსი, მარში და სხვ.). უნდა აღინიშნოს იონა ტუსკიას შექმნილი სიმღერა „კაპიტანი ბუხაიძე" (ირაკლი აბაშიძის ლექსზე), რომელიც ზედმიწევნით პოპულარული გახდა და წარმატებით სრულდებოდა როგორც საჯარისო ნაწილებში, ისე საერთოდ ხალხში. ამავე ტექსტზე დაიწერა გრიგოლ კოკელაძის სიმღერაც. ამ პერიოდში მაღალი დონის სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური ნაწარმოებები შექმნეს: ალექსი მაჭავარიანმა, რევაზ გაბიჩვაძემ, დიმიტრი არაყიშვილმა, ოთარ თაქთაქიშვილმა, არჩილ ჩიმაკაძემ და სხვ. ახლადშექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები გაჟღენთილი იყო პატრიოტული და სამოქალაქო მოტივით. ხაზგასმული იყო რწმენა მომავლისადმი. იმდროინდელი რომანსებიდან გამოირჩეოდა ალექსი მაჭავარიანის „არ დაიდარდო დედაო" (გიორგი ლეონიძის ლექსზე). კავკასიის გმირული დაცვისადმი იყო მიძღვნილი ნ. გუდიაშვილის კანტატა „კავკასიონი" (1944 წ.). ამავე თემაზე შეიქმნა შ. მშველიძის ნაწარმოებები: „სამხედრო სიმფონია" (1943 წ.) და „გამარჯვების სიხარული" (1944 წ.). სამშობლოსადმი განსაკუთრებული სიყვარული ჩააქსოვა დ. არაყიშვილმა თავის „ლირიკულ სიმფონიაში". 1943 წელს შეიქმნა ა. ბალანჩივაძის სიმფონია „კრწანისის ბრძოლა"; 1944 წელს - რ. გაბიჩვაძის სიმფონიური პოემა „გამზრდელი" (ა. წერეთლის პოემის მიხედვით).

ქართველი კომპოზიტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ კინოფილმებისა და სპექტაკლებისათვის მუსიკის შექმნას; სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ატარებდა ე.წ. „სიმფონიურ ორშაბათობებს", რომლის დროსაც სრულდებოდა კომპოზიტორთა გამორჩეული (საუკეთესო) ნაწარმოებები.

დიდი გამოძახილი ჰქონდა 1944 წელს თბილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალურ დეკადას. მასში მონაწილეობა მიიღეს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, საგუნდო კაპელებმა, სიმფონიურ და ხალხურ საკრავთა ორკესტრებმა. შესრულდა ომის წლებში შექმნილი სამი რესპუბლიკის კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მაღალი შეფასება მიიღო ანდრია ბალანჩივაძის ომის წლებში შექმნილმა სიმფონიამ, რომელიც ოდისეი დიმიტრიადის დირიჟორობით შესრულდა.

სამამულო ომის წლებში საქართველოს სახვითი ხელოვნების მუშაკებმა საფუძვლიანად შეცვალეს შემოქმედების თემატიკა. არაერთმა პიროვნებამ ხელში იარაღი აიღო და ფრონტზე გაემგზავრა (მაგალითად, ა. გიგოლაშვილი, გ. ჯაფარიძე, დ. თავაძე, ა. კოპალიანი, გ. ვარაზაშვილი და სხვ.). ზურგში მყოფი მხატვრებიც მნიშვნელოვან პატრიოტულ საქმეს ეწეოდნენ. იმართებოდა გამოფენები, ფრონტზე იგზავნებოდა მხატვართა ბრიგადები, გამოიცა პლაკატები, გაცხოველდა სააგიტაციო ხასიათის მხატვრობა. საქდესის ე.წ. „ფანჯრები" და პლაკატების სერია „ხიშტით და

კალმით" ფართო საზოგადოებას აცნობდა ბრძოლისა და შრომის ეპიზოდებს (ი. ურუშაძე, ფერწერა, კრებ. ქართული საბჭოთა ხელოვნება, თბ., 1973 წ., გვ. 10). 1941 წელს მოეწყო სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) გამოფენა. წარმოდგენილი იყო ქართველი ხალხის წარსულის, ფაშიზმის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის, ხალხთა მეგობრობის ამსახველი ნაწარმოებები. ექსპონანტთა შორის გამორჩეული იყო ელენე ახვლედიანის „ცხრა ძმა ხერხეულიძე", თამარ აბაკელიას „თბილისის დაცვა", სამამულო ომისადმი მიძღვნილი ვ. თოფურიძის „პარტიზანი". ცალკე უნდა აღინიშნოს ომის პერიოდის საუკეთესო მხატვრული ნაწარმოები ირაკლი თოიძის „დედა-სამშობლო გვიხმობს", ამ პლაკატმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. სამხატვრო საბჭოს მიერ ადრე მიღებული და დამტკიცებული შოთა რუსთაველის ძეგლის (კ. მერაბიშვილი) დადგმა 1942 წელს განხორციელდა.

ქართველი მხატვრები აქტიურად საქმიანობდნენ 1943-44 წლებში, ასახავდნენ ქართველი ხალხის გმირობას ფრონტზე და ზურგში. ამ პერიოდში ი. ნიკოლაძემ შექმნა ქართველი გენერლების კ. ლესელიძისა და პ. ჩანჩიბაძის სკულპტურული პორტრეტები. აღსანიშნავია თამარ აბაკელიას ქანკადება „კავკასიის დაცვა", მოსე თოიძის „წერილი ფრონტიდან", უჩა ჯაფარიძის „დედის ფიქრები", კორნელი სანაძის „გმირი ჭაბუკი", ლ. გუდიაშვილის „მოძალადენი". ცალკე უნდა აღინიშნოს მხატვარ-დეკორატორების სოლიკო ვირსალაძის, ირაკლი გამრეკელის, სერგო ქობულაძის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის და სხვ. ნაყოფიერი საქმიანობა.

მხატვართა 1945 წლის ნამუშევრებიდან გამორჩეულია: აპოლონ ქუთა-თელაძის „გენერალი ლესელიძე მებრძოლებთან", ქეთევან მაღალაშვილის „საბჭოთა არმიის მებრძოლი", შოთა მიქატაძის სკულპტურული კომპო-ზიცია „სამშობლო გვეძახის", ნიკოლოზ კანდელაკის „დავით ბაქრაძე" (სკულპტურული პორტრეტი) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ხელოვანთა ღვწის ცენტრალური თემა გახდა ხალ-ხის თავდადებული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკი-დებლობისათვის. ამ კარდინალური თემებისადმი ინტერესი შემდგომშიც გაგრძელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის წლებში არ შენელებულა ხელოვნების შესწავლისადმი ინტერესი. 1941 წელს დაარსდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი (გ. ჩუბინაშვილის სახელობის), რომელიც სხვა საქმიანობასთან ერთად შეუდგა ფერწერისა და სხვ. ძეგლების შესწავლას; დადგენილ იქნა მონუმენტური მხატვრობის განვითარების ეტაპები, მი-სი გავრცელების გეოგრაფიული არეალი. აღნიშნულ პერიოდში ინსტი-ტუტში კვლევით საქმიანობას წარმართავდა თინათინ ვირსალაძე; მას-თან ერთად საქმიანობდნენ გაიანე ალიბეგაშვილი, ანელი ვოლსკაია, ნათელა ალადაშვილი, ლეონიდე შერვაშიძე და სხვ.ი. ლორთქიფანიძე, შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების შესწავლა გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში (1941-2001), თბ., 2002, გვ. 1-3).

მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებდნენ ომის წლებში შექმნილი ქართული კინოფილმები. თბილისის კინოსტუდიამ 1942 წელს გადაიღო კინოფილმი „ხიდი" (რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი). მნიშვნელოვანი იყო ამავე წელს ისტორიულ-გმირული ეპოპეის „გიორგი სააკაძის" პირველი სერიის (რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი) გამოსვლა. ეს ფილმი თავისი ისტორიული ფონით ფაქტობრივად იყო მოწოდება უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ. 1943 წელს ამ ფილმის მეორე სერიაც გამოვიდა. ამ ორნაწილიანი ფილმის მთავარ რეჟისორს მიხეილ ჭიაურელსა და ძირითადი როლების შემსრულებლებს ვერიკო ანჯაფარიძესა და აკაკი ხორავას სტალინური პრემია მიენიჭათ. ომის პერიოდში გამოვიდა კინოფილმები: „ის კვლავ დაბრუნდება" (რეჟისორები ნიკოლოზ შენგელაია და დოდო ანთაძე), „ჯურღაის ფარი" (რეჟისორები სიკო დოლიძე და დავით რონდელი). ამ უკანასკნელი ფილმის დამდგმელ ჯგუფს და წამყვან მხახიობებს სტალინური პრემია მიენიჭათ. თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „ფრონტი ზღვაზე" და „შავზღველთა ვახტი", რომლებშიც მეზღვაურთა თავდადებული შრომაა გადმოცემული. ქართველი ხალხის შრომა ომის წლებში მაღალ-მხატვრულადაა წარმოდგენილი 1945 წელს გამოსულ კინოფილმში „ჭირ-ვეული მეზობლები" (რეჟისორი შოთა მანაგაძე).

ქართველი კინოდოკუმენტალისტების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ოპერატიულად გადაიღეს არაერთი დოკუმენტურ-ქრონიკალური ფილმი. სწორედ მათ წარმოაჩინეს 1942 წელს ყირიმისა და კავკასიისათვის მიმდინარე მძაფრი ბრძოლების ეპიზოდები, შავი ზღვის ფლოტის მიერ ჩატარებული სადესანტო ოპერაციები. კავკასიონის მთისწინეთში ჩვენი მეომრების წარმატებული ბრძოლები. მნიშვნელოვანი ფილმები შექმნეს რეჟისორებმა შ. ჩაგუნავამ („კავკასიონი"), კ. გრძელიშვილმა („გენერალი ლესელიძე"), ვ. ვალიშვილმა („პატრიოტი მეთევზეები"), შ. ხომერიკმა („ომი ზღვაზე"), გ. ასათიანმა („ჩანჩიბაძის გვარდიული არმია უკანასკნელ ბრძოლებში") და სხვ.

შექმნილი დოკუმენტურ-ქრონიკალური ფილმები მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალაა დიდი სამამულო ომის შესახებ. არ იყო შემთხვევითი, რომ წარმატებული საქმიანობისათვის თბილისის კინოსტუდია 1944 წლის 14 აპრილს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. მუზეუმებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობოდა სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენები, იკითხებოდა მოხსენებები, პრაქტიკული დახმარება ეწეოდა ხელისუფლებას პროპაგანდისტულ საქმია-ნობაში. ფაშისტები მწვავედ განიცდიდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიურობას და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მათი საქმიანობისათვის. იყო შემთხვევები, როცა ამგვარ და-წესებულებებს ანადგურებდნენ.[2] საქართველოს მუზეუმებისა და ბიბ-

2 ცნობილია, რომ ფაშისტებმა მიწასთან გაასწორეს ლ. ტოლსტოის სახლ-მუზეუმი იასნაია პოლანაში, ა. ჩეხოვის სახლი – ტაგანროგში, პ. ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმი ქ. კლინში, დაანგრიეს ისტორიული ძეგლები ქ. ლენიგრადში და სხვ.

ლიოთეკების მცდელობის შედეგად მათი ფონდები შეივსო ახალი ექსპონანტებით, გამოიცა კოლექციათა კატალოგები, ხელნაწერთა აღწერილობანი და სხვ. მთავარია ის, რომ სწორედ სამამულო ომის წლებში დაბრუნდა საფრანგეთიდან საქართველოში ადრე გატანილი უნიკალური სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობა.[3] ამით ისედაც მნიშვნელოვანი მუზეუმის ავტორიტეტი საყოველთაოდ გაიზარდა. „საჭირო რომ ყოფილიყო კიდევ რაიმე მტკიცება, რომ ქართველი ხალხი ერთ-ერთი უძველესი, დიდი ხალხთაგანია, მაშინ ის მუზეუმი, რომელიც მე დღეს აღფრთოვანებით დავათვალიერე, ამის საუკეთესო დამადასტურებელი იქნებოდა" - ეს სიტყვებია ისტორიისა და ხელოვნების აღიარებული ექსპერტის, აკადემიკოს ევგენი ტარლესია, რომელმაც მუზეუმის დათვალიერების შემდეგ აღფრთოვანება ვერ დამალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დაუბრუნდა XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში გატანილი ეროვნული მნიშვნელობის მქონე მასალა: უნიკალური ქართული ხელნაწერები, ნუმიზმატიკური კოლექციები, ეთნოგრაფიული მასალა, ხელოვნების ნიმუშები (შედევრები), სურათები, ქსოვილები, ოქრომჭედლობის ნივთები (იხ. შ. ამირანაშვილი, საქართველოს სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968).

სამამულო ომის დაწყების უმალ რესპუბლიკის საგამომცემლო და პრესის ორგანოები გადავიდნენ ქვეყნის საჯარისო ნაწილების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიდა პოლიგრაფიული მრეწველობა, რადგან შეიკვეცა მისი ბაზა, შემცირდა კვალიფიციური პოლიგრაფიული კადრები. მიუხედავად შექმნილი მძიმე ვითარებისა წიგნის ბეჭდვისა და პრესის გამოცემის პრობლემები არ დამდგარა. მოსახლეობის მოთხოვნილება კმაყოფილდებოდა. 1942 წელს გამოიცა (მნიშვნელოვანი ტირაჟით) სამხედრო წესდება და სამხედრო მომზადების სახელმძღვანელო. ფრონტზე იგზავნებოდა რესპუბლიკური გაზეთები („კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა").

საქართველოს პრესა შეძლებისდაგვარად ოპერატიულად აშუქებდა ფრონტის მასალებს, რაზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილება იყო. ფართოდ გამოდიოდა პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურა. ინტენსიურად გამოდიოდა მხატვრული (მათ შორის საბავშვო) ლიტერატურა. ნიშანდობლივია, რომ ჯარის ეროვნულ ნაწილებში (ზოგიერთ შენაერთებში) გაზეთები (საბრძოლო ფურცლები, სამახსოვრები, მოწოდებები) ქართულ ენაზე გამოდიოდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო ჯარების ჩრდილოეთის დანაყოფის, ყირიმის, ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ფრონტებისათვის - დიდ მორალურ-პოლიტიკურ გავ-

3 ხაზგასასმელია ის დიდი ამაგი, რაც ამ განძეულობის დაცვა-შენახვის საქმეში ჩადო ექვთიმე თაყაიშვილმა. საქართველომ ფაქტობრივად დაჰკარგა უფლება ამ განძის ფლობისა და იგი საფრანგეთის ერთ-ერთი დეპარტამენტის მფლობელობაში გადავიდა. სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის აქტიურობამ 1944 წელს საკითხი საფრანგეთის პრეზიდენტამდე დე გოლამდე მიიტანა. ეს უკანასკნელი ი. სტალინთან შესახვედრად ემზადებოდა და, ალბათ ძირითადად ამის გამო, მან უპირობოდ გასცა ბრძანება განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ.

ლენას ახდენდნენ ქართველ მებრძოლებზე. ზოგადად ბეჭდვითი სიტყვა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფრონტის დასახმარებლად მოსახლეობის მობილიზაციის საქმეში.

ცალკე უნდა გამოვყოთ რადიოს როლი მასების პოლიტიკურ მომზადებაში, პროპაგანდისა და აგიტაციის წარმოებაში. რადიო გადაცემები საშუალებას იძლეოდა ქვეყნის ხელმძღვანელობა, ჯარის სარდლობა მი_ ლიონობით ადამიანს დაკავშირებოდა. რადიო ოპერატიულად აცნობებდა საზოგადოებას ფრონტისა და ზურგის ამბებს. სამამულო ომის პერიოდში საქართველოში გაიზარდა კავშირგამბულობის ქსელი, უპირატესად რადიო გადაცემები. გარდა ქალაქებისა, ცალკეულ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში შეიქმნა რადიოგადაცემის კვანძები. რადიოფიცირება მოხდა სოფლებშიც. ეს ყოველივე ხელს უწყობდა მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას, ზრდიდა მასების შემოქმედებით აქტივობას მტერზე გამარჯვებისთვის ბრძოლის საქმეში.

დასკვნა

მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებში საქართველოს მთელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. ქართველი მწერლები, მხატვრები, მუსიკალური და თეატრალური სცენების წარმომადგენლები მხარში ედგნენ მეომრებს. ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილმა გამარჯვებამ მშვიდობიანი ცხოვრებისა და აღმშენებლობის მნიშვნელოვანი ასპარეზი შეუქმნა საქართველოს მოსახლეობას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ამირანაშვილი, შ. (1968). *საქართველოს სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება.* თბილისი.

კვესიტაძე, გ. მეტრეველი, რ. (2021). *საქართველოს მეცნიერება მეცნიერებათა აკადემიის 80 წლისთავზე.* თბილისი.

ლორთქიფანიძე, ი. (1969). *შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების შესწავლა გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში (1941-2001).* თბილისი).

ეგაძე, ო. (1969). *თეატრში და თეატრის მიღმა.* თბილისი.

ურუშაძე, ი. (1973). *ფერწერა. ქართული საბჭოთა ხელოვნება.* თბილისი.

REFERENCES

Amiranashvili, Sh. (1968). T*aking and returning of museum treasures of Georgia.* Tbilisi (in Georgian).

Kvesitadze, G. Metreveli, R. (2021). *On the 80th anniversary of the Georgian Academy of Sciences.* Tbilisi (in Georgian).

Amiranashvili, Sh. (1968). *Taking and returning of museum treasures of Georgia.* Tbilisi (in Georgian).

Lortkipanidze, I. (1969). *Study of medieval fine art at the Institute of Georgian Art History of G. Chubinashvili (1941-2001).* Tbilisi (in Georgian).

Egadze, O. (1969). *In and beyond a theater*. Tbilisi (in Georgian).

Urushadze, I. (1973). *Painting. Georgian Soviet art*. Tbilisi (in Georgian).

ROIN METREVELI

EDUCATION, SCIENCE AND CULTURE DURING THE SECOND WORLD WAR

Abstract

Second World War had the serious result on the cultural life of Georgia. Great changes took place in the field of education. Institutions of secondary and higher education have granted their places to hospitals and military units. Two-shift teaching were established in the most schools of the Republic. 700 thousand Georgian population went to war. Only half of them returned (significant part as cripples). The hardship of 1941-45 years has not hindered the development of science.

In 1941 Academy of Sciences was established and different branches have been developed. The most significant activity was carried out in humanitarian and scientific research institutions. The important emphasis should be given to Georgian scientists as they have fulfilled such a hard task as to serve people.

The literature of that time was distinguished by the primacy of heroic traditions.

During the war all branches of the art (theatre, cinema, music and fine arts) have switched to military scale of rule. As soon as the World War II began, publishing, press, radio broadcasting moved to meet the troop demands of the necessary tasks.

The cultural development service of the population continued, which increased the creative activity of the masses in the struggle for victory

Keywords: mobilization, contingent, qualification, grant.